# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-61

09/02/2018

ქ. თბილისი

**სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ „აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულების „ლეხურა (იგოეთი)-სვენეთის“ მონაკვეთის ფარგლებში ახალი DN700 გაზსადენის მშენებლობის პროექტზე“ სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.11. ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამ ბრძანების დანართში მოცემული დასაბუთების საფუძველზე მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულების „ლეხურა (იგოეთი)-სვენეთის“ მონაკვეთის ფარგლებში ახალი DN700 გაზსადენის მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ;
2. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურების გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-ს
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გორის და კასპის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოებისა და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი,

დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი